

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №7

ქ. გარდაბანი

29 მაისი 2026 წელი 13³⁰ სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 32 წევრი:

სამირ ხიალოვი
ვუგარ მამედოვი
გიორგი გურულიშვილი
თამარ ხაჩიძე
ლევან ნიჟარაძე
ლაშა ქართლოსიშვილი
ბეთქილ კახიანი
ისლამ მამედოვი
ანი მანჩხაშვილი
ლია მეტრეველი
თორნიკე ქავთარაძე
დავითი ებილაშვილი
დავით ჭინჭარაული
ქართლოსი მამულაძე
ანა დადეშქელიანი
მირზა მირზოევი

ოთარი გავაშელიშვილი
ხვიჩა ჩიტიაშვილი
გიორგი გამეზარდაშვილი
გუსეინკულუ მუსაევი
ფლორა ასკაროვა
იოსები ძამნაშვილი
იუსუფ მელაძე
არაზ ვალიევი
მალხაზ ვახტანგიძე
ნიჩატ ისმაილოვი
საბაილ მამედოვი
ზაქირ დაშდამიროვი
არკადი ფანგანი
კამრან ბაბაევი
შახადატ მეხრაღიევი
ილხამ ბაირამოვი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატი) ხელმძღვანელის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი - ნაია დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (საორგანიზაციო განყოფილება) ხელმძღვანელი - ვახტანგ მამუკაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) ხელმძღვანელი - ნინო დათუაშვილი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის (სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილება) სტაჟიორი ქრისტინა ნიგურიაანი;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონებისა და მატერიალური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი - დავით ჯანაშია;

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი ბესიკი მაისურაძე;

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა, საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად.

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1 „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: ფიქრია ქარუმიძე
თანამომხსენებელი: ლევან ნიუარაძე

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში მდებარე ს/კ №81.10.28.755; №81.10.34.875; №81.10.34.869; №81.10.34.872; №81.10.34.873; №81.10.28.1092; №81.10.28.1094; №81.10.28.1097 უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით შინჯიკაშვილი
თანამომხსენებელი: დავით ჭინჭარაული

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის საბა ფურცელაძისა და მწვრთნელის გოდერძი ჯოხაძის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის კობა ქარუმიძისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ნიკოლოზი ქარუმიძისა და მწვრთნელის იმედა ფრეწუაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

7. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლუკა უსტარაშვილისა და მწვრთნელის შოთა ფერაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

8. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ლუკა ლუჭაშვილისა და მწვრთნელის შოთა ფერაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

9. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ჭიკაიძისა და მწვრთნელის ირაკლი თარხნიშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

10. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის გიორგი ქარჩაიძისა და მწვრთნელის ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

11. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის ჯავიდ კიარიმოვისა დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

12. „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს 2026-2027 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: თამარ ხაჩიძე

13. საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: ლევან ნიჟარაძე

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის, ასევე გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ** და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2025 წლის 30 მაისის სხდომაზე მიიღო №8 დადგენილება, „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის №8 დადგენილებით დამტკიცებულ საბჭოს დებულებაში საკრებულოს მიერ, შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. საბჭოს უკეთესად ფუნქციონირების მიზნით, საბჭოს წევრთა რაოდენობა, 16 წევრის ნაცვლად განისაზღვროს 21 წევრით;
2. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ საკრებულოს ყველა კომისიის თავმჯდომარის საბჭოს წევრად ყოფნა არ არის სავალდებულო. ასევე, საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია, კვორუმთან დაკავშირებული სირთულეების გამო, საკრებულოში არსებულ ფრაქციებს შესაძლებლობა ჰქონდეთ პროპორციულად წარადგინონ საბჭოს წევრთა ოდენობა.
3. აგერთვე, საბჭოს მართებულად მიაჩნია, საბჭოს შემადგენლობაში დამატების შესაძლებლობა ჰქონდეთ გარდაბნის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წარმომადგენლებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს წევრებს კენჭი ეყარათ წარმოდგენილი დადგენილების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს - „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 33

წინააღმდეგი – 0

მიღებულია დადგენილება №6 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტში ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი 2

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

ვინაიდან, მომხსენებელი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი - ფიქრია ქარუმიძე არ იმყოფებოდა საკრებულოს სხდომაზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა - ბესიკი მაისურაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ და განმარტა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შესრულების ანგარიში

მომზადებულია მერიის სამსახურებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდლების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას, დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ, მერის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვის შესახებ.

გარდაზნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა			2026 წლის 3 თვის ფაქტი		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	14685.4	4584.2	10101.2	8805.6	1834.3	6971.3
გადასახადები	8104.9	0.0	8104.9	5120.7	0.0	5120.7
გრანტები	4584.3	4584.2	0.1	1834.3	1834.3	0.0
სხვა შემოსავლები	1996.3	0.0	1996.3	1850.7	0.0	1850.7
ხარჯები	16179.4	543.0	15636.4	11967.5	310.3	11657.2
შრომის ანაზღაურება	2599.0	0.5	2598.5	1993.2	0.5	1992.7
საქონელი და მომსახურება	2801.6	393.1	2408.6	1967.4	225.9	1741.5
პროცენტი	145.5	0.0	145.5	97.9	0.0	97.9
სუბსიდიები	8506.3	93.4	8412.9	6611.8	77.3	6534.5
გრანტები	55.0	0.0	55.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	1775.3	6.6	1768.8	1170.9	6.6	1164.3
სხვა ხარჯები	296.7	49.5	247.2	126.3	0.0	126.3

საოპერაციო სალდო	-1494.0	4041.2	-5535.2	-3161.9	1524.0	-4685.9
არაფინანსური აქტივების ცვლილება	10220.5	7702.4	2518.1	-508.9	2058.2	-2567.1
ზრდა	10720.5	7702.4	3018.1	2447.3	2058.2	389.1
კლება	500.0	0.0	500.0	2956.2	0.0	2956.2
მთლიანი სალდო	-11714.5	-3661.2	-8053.3	-2652.9	-534.2	-2118.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	-12559.0	-3661.2	-8897.8	-3398.3	-534.2	-2864.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	12559.0	3661.2	8897.8	3398.3	534.2	2864.1
ვალდებულებების ცვლილება	-844.5	0.0	-844.5	-745.4	0.0	-745.4
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	844.5	0.0	844.5	745.4	0.0	745.4
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2026 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 13,515.9 ათასი ლარი.

2026 წლის I კვარტლის ბოლოს ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 10,117.6 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	2026 წლის გეგმა	2026 წლის შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	15185.4	11761.8	77.5
შემოსავლები	14685.4	8805.6	60.0
არაფინანსური აქტივების კლება	500.0	2956.2	591.2

გადასახდელები	27744.4	15160.2	54.6
ხარჯები	16179.4	11967.5	74.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	10720.5	2447.3	22.8
ვალდებულებების კლება	844.5	745.4	88.3
ნაშთის ცვლილება	-12559.0	-3398.3	

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების შესრულების შესახებ

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 15,185.4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11,761.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 77.5%.

I შემოსავლები

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 3 თვის გეგმა 14,685.4 ათასი ლარი ფაქტიურად 8,805.6 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 60.0% შეადგინა.

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მოზილიზებულია 5,120.7 ათასი ლარი. გეგმიურ მაჩვენებელთან 8,104.9 ლართან შედარებით 2,984.2 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალი მიღებული.

ქონების გადასახადიდან - საანგარიშო პერიოდში მიღებულია 688.8 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის 3,405.0 ათასი ლარის 20.2%-ს შეადგენს, მათ შორის: საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი - 418.9 ათასი ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) - -53.0 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე - 2.5 ათასი ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 110.6 ათასი ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე - 210.0 ათასი ლარი.

დამატებითი ღირებულების გადასახადი - საანგარიშო პერიოდში დამატებითი ღირებულების გადასახადიდან ბიუჯეტში გეგმის მიხედვით გათვალისწინებული იყო 4,584.3 ათასი ლარის მიღება, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 4,431.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 94.3%-ია.

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 1,834.3 ათასი ლარი, მათ შორის: სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 529.5 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 1,304.8 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 1,996.3 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 1,850.7 ათასი ლარი შეადგინა, რამაც გეგმის 92.7% შეადგინა, მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 597.1 ათასი ლარი.

რენტის სახით მობილიზებულია 274.7 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელიდან - 307.7 ათასი ლარი, მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 14.6 ათასი ლარი.

საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 126.0 ათასი ლარი. მათ შორის:

- ✓ **სანებართვო მოსაკრებელიდან** (მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვაზე) მთლიანობაში მიღებულია 70.6 ათასი ლარი.
- ✓ **დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელიდან** საანგარიშო პერიოდში მიღებულია 46.5 ათასი ლარი.
- ✓ **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურების მუხლიდან** მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 8.9 ათასი ლარი.

სანქციებიდან, ჯარიმებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 1,090.2 ათასი ლარი შეადგინა.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 37.4 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივებიდან გეგმის სახით გათვალისწინებული იყო 500.0 ათასი ლარის მიღება. ნაცვლად ამისა, მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 2,956.2 ათასი ლარის შემოსავალი (შესრულება - 591.2%). მათ შორის: 535.3 ათასი ლარი მიღებულია ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და არაწარმოებული აქტივები (მიწის) გაყიდვიდან - 2,420.9 ათასი ლარი.

ინფორმაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის გადასახდელების შესრულების შესახებ

2026 წელს 3 თვის გადასახდელების საკასო შესრულების 54.6%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

2026 წლის ბიუჯეტის 3 თვის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27,744.4 ათასი ლარი. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 15,160.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 54.6%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16,179.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 11,967.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 74.0%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 78.9%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 10,720.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 2,447.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 22.8% და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 16.1%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 844.5 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 745.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.3%-ია და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 4.9%-ია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2,599.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,993.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 76.7%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 2,801.6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 1,967.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 70.2%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 145.5 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 97.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 67.3%-ს შეადგენს. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 8,506.3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 6,611.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 77.7%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 248.7 ათასი ლარი;
- საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 68.9 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციული შენობების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) - 93.8 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბანსერვისის მიერ) – 60.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სუფთა ქალაქის მიერ) – 525.9 ათასი ლარი;

- სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების მიერ) – 3,781.9 ათასი ლარი;
- სპორტული სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის მიერ) – 879.3 ათასი ლარი;
- სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანების მიერ) – 111.8 ათასი ლარი;
- ბიბლიოთეკების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მიერ) – 92.6 ათასი ლარი;
- კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მიერ) – 255.7 ათასი ლარი;
- მუზეუმების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ცენტრის მიერ) – 83.9 ათასი ლარი;
- მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მიერ) – 79.3 ათასი ლარი;
- მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ მეგობრობის ცენტრის მიერ) – 54.4 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის მიერ) – 155.9 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის ხელშეწყობა - 9.3 ათასი ლარი;
- თერაპიული ცენტრის ხელშეწყობა (ქვეპროგრამა ხორციელდება ააიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის თერაპიული ცენტრის მიერ) – 110.2 ათასი ლარი;

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 55.0 ათასი ლარით. ხოლო საკასო ხარჯი პირველ კვარტალში არ განხორციელებულა.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,775.3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,170.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 66.0%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 202.7 ათასი ლარი;
- სადღესასწაულო საჩუქრების პროგრამა - 22.4 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 151.5 ათასი ლარი;
- მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება - 0.7 ათასი ლარი;
- დიალიზზე დამოკიდებული მოქალაქეების დაფინანსება - 29.4 ათასი ლარი;
- უსახლკაროდ დარჩენილთა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირთა დახმარება - 7.5 ათასი ლარი;
- ვეტერანთა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახების სოციალური დახმარება - 3.4 ათასი ლარი;
- უხუცეს პირთა სოციალური დაცვა - 4.5 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროგრამები - 17.7 ათასი ლარი;
- ბავშთა პროგრამები - 1.2 ათასი ლარი;
- სტუდენტების მატერიალური დახმარება - 8.0 ათასი ლარი.
- სოციალურად დაუცველთა სამედიცინო მომსახურება - 89.2 ათასი ლარი;
- ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო მომსახურება - 42.7 ათასი ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა - 38.6 ათასი ლარი;
- უფროსი ასაკის პირთა სოციალური დაცვა - 7.9 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირთა/დევნილთა დახმარება - 17.6 ათასი ლარი;
- მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა - 25.8 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველ ჩვილ ბავშვთა კვების პროგრამა - 0.9 ათასი ლარი;

- ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით გათბობის უზრუნველყოფა - 19.2 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 419.8 ათასი ლარი;
- ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა - 9.4 ათასი ლარი;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 296.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდი 22.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 126.3 ათასი ლარის მოცულობით, მათ შორის მერის სარეზერვო ფონდიდან 21.4 ათასი ლარი. „სხვა ხარჯების“ მთლიანმა შესრულებამ გეგმის 22.8% შეადგინა. მერის სარეზერვო ფონდის საკასო შესრულება გეგმის 95.5%-ია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან 2026 წლის პირველ კვარტალში დაფინანსდა მოსახლეობისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 10.0 ათასი ლარი;
- ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 3.1 ათასი ლარი;
- სტუდენტების მატერიალური დახმარების პროგრამა - 8.3 ათ. ლარი;

სესხების მომსახურება და დაფარვა

სესხის მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 843.3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (990.0 ათასი ლარი) 85.2 %-ია. მათ შორის: წინა წლებში წარმოქმნილი სესხების ძირი თანხის დაფარვა - 745.4 ათასი ლარი, სესხის მომსახურების პროცენტი - 97.9 ათასი ლარი.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	შესრულების პროცენტი
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5259.2	3910.4	74.4
704	ეკონომიკური საქმიანობა	5630.5	1254.6	22.3
705	გარემოს დაცვა	2378.0	1192.7	50.2

706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3408.4	1600.5	47.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	208.9	165.3	79.1
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3243.2	1429.1	44.1
709	განათლება	5699.2	4349.1	76.3
710	სოციალური დაცვა	1917.0	1258.5	65.6
სულ		78799.9	71288.4	90.5

გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- ❖ მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 3,910.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (5,259.2 ათასი ლარი) 74.4%-ია;
- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება - 2,924.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (9,154.6 ათასი ლარი) 31.9%-ია;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა - 1,123.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,267.8 ათასი ლარი) 49.6%-ია;
- ❖ განათლება - 4,065.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,323.5 ათასი ლარი) 76.4%-ია;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1,712.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,613.4 ათასი ლარი) 47.4%-ია;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1,423.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,125.9 ათასი ლარი) 67.0%-ია.

დაზუსტებული ასიგნებების შესრულება

(ათას ლარებში)

ორგ. კოდი	დასახელება	2026 წლის 3 თვის გეგმა	2026 წლის 3 თვის ფაქტი	შესრულების პროცენტი
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5259.2	3910.4	74.4
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	4135.5	3045.7	73.6
01 01 01	გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო	731.4	617.4	84.4
01 01 02	გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერია	3381.6	2422.1	71.6

01 01 04	საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა	22.5	6.2	27.7
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1123.7	864.7	77.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	22.4	21.4	95.5
01 02 02	მგფ-სა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	990.0	843.3	85.2
01 02 03	სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები	50.0	0.0	0.0
01 02 04	ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა	55.0	0.0	0.0
01 02 05	სოციალური თანასწორობის ხელშეწყობა	6.3	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9154.6	2924.6	31.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5265.5	1174.6	22.3
02 01 01	გზებისა და ტროტუარების მშენებლობა-რეაბილიტაცია	5239.2	1165.4	22.2
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	10.0	0.0	0.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	16.3	9.2	56.7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1057.9	412.4	39.0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	482.3	0.0	0.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემების ექსპლოატაცია	100.0	91.6	91.6
02 02 03	საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია	1.4	0.0	0.0
02 02 05	სასმელი წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა	365.3	251.9	68.9
02 02 06	საკანალიზაციო სისტემების მოვლა-პატრონობა	108.8	68.9	63.3
02 03	გარე განათება	1108.4	591.0	53.3
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	726.0	589.9	81.3
02 03 02	გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია	382.4	1.1	0.3
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	532.0	93.8	17.6
02 04 01	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	365.4	0.0	0.0
02 04 02	საცხოვრებელი შენობების სახურავების რეაბილიტაცია	1.5	0.0	0.0
02 04 04	საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მოვლა-პატრონობა	165.1	93.8	56.8
02 05	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	0.7	0.0	0.0
02 05 01	სარწყავი არხების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	0.7	0.0	0.0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	5.5	0.6	10.4

02 06 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	5.5	0.6	10.4
02 07	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	365.0	80.0	21.9
02 07 01	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯები	71.5	4.4	6.2
02 07 02	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	287.5	74.2	25.8
02 07 03	ქსელებზე დაერთებასა და მონტაჟთან დაკავშირებული ხარჯები	6.0	1.4	22.7
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	819.6	572.2	69.8
02 08 01	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	140.6	49.9	35.5
02 08 02	მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა	679.0	522.2	76.9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2267.8	1123.8	49.6
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	773.5	539.0	69.7
03 01 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	761.0	528.0	69.4
03 01 02	მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა	12.5	11.0	87.8
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	1194.3	584.8	49.0
03 02 01	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია/ექსპლოატაცია	1085.2	524.8	48.4
03 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების მოვლა-პატრონობა	109.0	60.0	55.0
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	300.0	0.0	0.0
03 03 01	ნარჩენების შეგროვებისათვის საჭირო მანქანა/დანადგარებისა და ინვენტარის შეძენა	300.0	0.0	0.0
04 00	განათლება	5323.5	4065.4	76.4
04 01	სკოლამდელი განათლება	4700.9	3781.9	80.5
04 01 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4700.9	3781.9	80.5
04 02	დაწყებითი ზოგადი განათლება	622.7	283.5	45.5
04 02 01	საჯარო სკოლების რეაბილიტაცია	279.6	65.4	23.4
04 02 02	საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება	343.1	218.1	63.6
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3613.4	1712.2	47.4

05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2422.6	953.8	39.4
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	11.8	4.1	34.6
05 01 02	სპორტული სკოლების ხელშეწყობა	1192.6	879.3	73.7
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	1183.3	37.0	3.1
05 01 04	წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოების ხარჯები	35.0	33.4	95.4
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1190.8	758.5	63.7
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	111.0	80.2	72.2
05 02 02	ტელევიზიის დაფინანსება	12.5	0.6	5.0
05 02 03	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	147.9	111.8	75.6
05 02 04	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	125.1	92.6	74.0
05 02 05	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	368.2	255.7	69.4
05 02 06	მუზეუმების ხელშეწყობა	107.7	83.9	77.9
05 02 07	მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების ხელშეწყობა	102.7	79.3	77.2
05 02 08	მეგობრობის ცენტრის ხელშეწყობა	80.3	54.4	67.8
05 02 09	კულტურის ობიექტების აღჭურვა, მშენებლობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	135.3	0.0	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2125.9	1423.8	67.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	192.1	155.9	81.2
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	192.1	155.9	81.2
06 02	სოციალური პროგრამები	1933.8	1267.9	65.6
06 02 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	350.0	202.7	57.9
06 02 02	ჯანმრთელობისა და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი	16.8	9.3	55.6
